

გადასატანი საარქიტექტო ყუთის ნამდები კომისიის წევრის ფუნქციები (საარქიტექტო კოდექსი – მუხლი 66)

ყურადღება!

გადასატანი საარქიტექტო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურა იწყება კენჭისყრის დღის 9 საათიდან და სრულდება 19 საათზე.

- კენჭისყრის დღის 9 საათიდან კომისიის თავმჯდომარემ უნდა გადმოგცეთ:
 - ✓ გადასატანი საარქიტექტო ყუთის სია;
 - ✓ ამომრჩეველთა რეგისტრატორის მიერ ხელმოწერილი და რეგისტრატორის ბეჭდით დამოწმებული საჭირო რაოდენობის საარქიტექტო ბიულეტენები;
 - ✓ სპეციალური კონვერტები;
 - ✓ დალუქული გადასატანი საარქიტექტო ყუთი, რომელშიც მოთავსებული უნდა იყოს საკონტროლო ფურცელი.
- ამომრჩეველთან მისვლისას სთხოვეთ მას, წარმოადგინოს:
 - ✓ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი;
 - ✓ იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის შემთხვევაში – დევნილის მოწმობა საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობასთან ან საქართველოს მოქალაქის პასპორტთან ერთად.
- შეადარეთ ამომრჩეველის პირადი ნომერი გადასატანი საარქიტექტო ყუთის სიაში არსებულ პირად ნომერს.
- გადასატანი საარქიტექტო ყუთის სიაში ხელმოწერით დაადასტურეთ საარქიტექტო ბიულეტენის გაცემა.
- სთხოვეთ ამომრჩეველს, გადასატანი საარქიტექტო ყუთის სიაში თავისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით დაადასტუროს საარქიტექტო ბიულეტენის/ბიულეტენების მიღება.
- გადაეცით ამომრჩეველს ამომრჩეველთა რეგისტრატორის ხელმოწერილი და რეგისტრატორის ბეჭდით დამოწმებული საარქიტექტო ბიულეტენი/ბიულეტენები.
- ამომრჩეველის მიერ ბიულეტენის შევსების შემდეგ გადაეცით მას სპეციალური კონვერტი და მიუთითეთ, მოათავსოს მასში გადაკეცილი საარქიტექტო ბიულეტენი/ბიულეტენები.

- სთხოვეთ ამომრჩეველს, მოათავსოს სპეციალური კონვერტი გადასატან საარჩევნო ყუთში.
- კენჭისყრის დასრულების შემდეგ გადასატანი საარჩევნო ყუთის ჭრილი იმგვარად დალუქეთ, რომ შეუძლებელი იყოს ლუქის დაზიანების გარეშე მისი გახსნა.
- კენჭისყრის დღის არაუგვიანეს 20 საათისა გადასატანი საარჩევნო ყუთი დააბრუნეთ საარჩევნო უბანზე.
- კენჭისყრის შენობაში დაბრუნების შემდეგ კომისიის მდივანს გადაეცით გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენები და სპეციალური კონვერტები. დაელოდეთ კომისიის თავმჯდომარის შემდგომ მითითებებს.

ყურადღება!

- თუ დაირღვა გადასატანი საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა, ეს დაუყოვნებლივ აცნობეთ კომისიის თავმჯდომარეს. შეადგინეთ შესაბამისი ოქმები (აღნიშნეთ მიზეზი) და ხელი მოაწერეთ თანმხლებ პირებთან ერთად. დაელოდეთ კომისიის თავმჯდომარის შემდგომ მითითებებს.
- გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა მიმართ მარკირება არ გამოიყენება.
- თუ კენჭისყრის პროცესში გამოვლინდა, რომ ამომრჩეველმა საარჩევნო სიაში ხელი მოაწერა სხვა ამომრჩევლის გვარის გასწვრივ არსებულ გრაფაში, ასეთ შემთხვევაში ამომრჩეველს, რომლის გვარის გასწვრივ ფიქსირდება ხელმოწერა, უნდა მიუთითოთ ხელი მოაწეროს იმავე გრაფაში. ამასთან, აღნიშნულის თაობაზე უნდა დაწეროთ ახსნა-განმარტება (ამომრჩევლის სახელისა და გვარის აღნიშვნით).
- „ფიზიკური მდგომარეობის“ გამო ამომრჩევლის მიერ გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის შემთხვევაში გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის გრაფაში „ამომრჩევლის ხელმოწერა“ გააკეთეთ ჩანაწერი „ფიზიკური მდგომარეობა“ და ხელმოწერით დაადასტურეთ.
- „ფიზიკური მდგომარეობის“ მქონე ამომრჩევლის (აგრეთვე იმ ამომრჩევლის, რომელსაც დამოუკიდებლად არ შეუძლია საარჩევნო ბიულეტენის შევსება) ნაცვლად მისი თანდასწრებით საარჩევნო ბიულეტენს ავსებს, სპეციალურ კონვერტში ათავსებს და კონვერტს გადასატან საარჩევნო ყუთში აგდებს მის მიერ არჩეული პირი (გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა).